შპს "მაგთიკომი"
№ ED-22/09/29-029
29-09-2022 წ.

მაგთიკომი
MAGTICOM

შპს ,,იფქლი''-ს დირექტორს ბატონ არისი ბოჭოიძეს

ბატონო არისი,

თქვენი 2022 წლის 28 სექტემბრის N28/09/-1 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ წერილში მოცემულ ტერიტორიაზე (ქ. თბილისი, ქერჩის ქუჩა, ს/კ 01.11.12.019.177) არ გადის შპს „მაგთიკომის“ საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურა და არ ვართ წინააღმდეგი შესრულდეს დაგეგმილი სამუშაოები.

შემსრულებელი: ლაშა ჭავჭანიძე. ტ 599 172727

პატივისცემით

მთავარი ადმინისტრაციული ოფიცერი

/ნოდარ ბაღათურია/

შპს „მაგთიკომი“ / Magticom LLC; საიდენტიფიკაციო კოდი / Identification Number 204876606
პოლიტკოვსკაიას ქ. N7, თბილისი 0186, საქართველო / 7 Politkovskaya St., Tbilisi 0186, Georgia
ტელ / Tel: (+995 32) 217 17 17; (+995 32) 217 17 77; ელ.ფოსტა / E-mail: office@magticom.ge
www.magticom.ge

Digitally signed by MagtiCom LLC
2022.09.29 17:29:17 +0400
მაგთიკომი MAGTICOM

03.10.2022

N22-853/ე.ფ

შპს „იფქლი“-ს დირექტორს
ბ-ნ არისი ბოჭოიძეს
ტელ: 591 108 353
მის: ქ. თბილისი, ხარაძის ქუჩა №2ა

თქვენი 30.09.2022 წლის №2/09-3 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ მითითებულ მისამართზე, ქ. თბილისი, ქერჩის ქუჩა №1-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 01.11.12.019.177) არ გადის შპს „ახალი ქსელები”-ს ხაზოვანი ნაგებობა.

პატივისცემით,
დირექტორი / ი. ინჯია /

თბილისი ენერჯი

მიცკევიჩის ქ.№18ა, თბილისი, 0194, საქართველო
ს/კ 205129617; +995 (32) 2404004; info@te.ge; www.te.ge

№ 02-13-79579-22
12 / 10 / 2022

შპს ,,იფქლის“ დირექტორს
არისი ბოჭოიძეს

ბატონო არისი,

თქვენი მიმდინარე წლის 28 სექტემბრის №02-13-79579-22 განცხადების პასუხად, რომელიც ეხება რომ ქალაქი თბილისი, დაბა წყნეთი, გრიშაშვილის ქუჩა №18-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი №01.20.01.002.029) ჩასატარებელ სამშენებლო სამუშაოებთან და კომუნიკაციების დაზუსტებასთან დაკავშირებით პოზიციის დაფიქსირებას გაცნობებთ, რომ აღნიშნულ საკადასტრო ერთეულს კვეთს შპს ,,თბილისი ენერჯი“-ს კუთვნილი საჰაერო საშუალო წნევის D=80მმ-იანი გაზსადენი. კომპანია არ არის წინააღმდეგი აწარმოოთ სამშენებლო სამუშაოები, თუ მიწის ნაკვეთზე განთავსებულ მილსადენთან მიმართებაში დაცული იქნება უსაფრთხოების ნორმები, არ შეიზღუდება ტექნიკური მონიტორინგის პროცესი და საჭიროების შემთხვევაში მისი მომსახურების შესაძლებლობა.

წარმოგიდგენთ აღნიშნულ ტერიტორიაზე გაზსადენის განლაგების სქემატურ ნახაზს.

დანართი: სქემატური ნახაზი 1 (ერთი) ფურცელი

პატივისცემით,

გიგლა თამაზაშვილი
დირექტორი ტექნიკურ საკითხებში


1:500
ჩ
დ
ა
ს
D= 80
D= 80
D= 80
პირობითი აღნიშვნები
შპს "თბილისი ენერჯის" საკუთრებაში არსებული მიწისზედა გაზსადენი
მიწის ნაკვეთი ს/კ 01.11.12.019.177
თბილისი ენერჯი
TBILISI ENERGY

გასულია № 01-02/13146
"17" 10 2022 წ.
ფუძრცელი

ქავქასუს ონლაინი

შპს „იფქლი“ს დირექტორს

არისი ბოჭოიძეს

ბატონო არისი,

თქვენი 2022 წლის 28 სექტემბრის წერილის N28/09-4 პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ წერილში მითითებულ მისამართზე ს.კ. 01.11.12.019.177 რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე არ გადის შპს „კავკასუს ონლაინი''-ს კომუნიკაცია.

პატივისცემით,

შპს კავკასუს ონლაინი
კანცელარია
211880833
Chancellery

რევაზ კოპალაძე

გენერალური დირექტორი

gwp
მეტი ვიდრე უბრალოდ წყალი
MORE THAN JUST WATER

№ 0622-07044040 D 19 10 2022

შპს „იფქლი“
ელ-ფოსტა: mariam.phirtskhalava@ipkli.com
ტელეფონი: 591 10 83 53

შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერმა“ (შემდგომში „კომპანია“) განიხილა თქვენი განცხადება, დარეგისტრირებული IN22-0699838, დათარიღებული 07/10/2022წ. ქერჩის ქ. N1-ში გამავალი წყალსადენის ქსელის გადატანის შესახებ.

გაცნობებთ, რომ ზემოაღნიშნულ მისამართზე გამავალი წყალსადენის ქსელის გადასატანად, საჭიროა „კომპანიას“ მომართოთ შესაბამისი განაცხადის ფორმით („პროექტის საორიენტაციო ფასის დადგენა“). „კომპანია“ განიხილავს ქსელის გადატანის ტექნიკურ შესაძლებლობას. რის შემდეგაც, პროცედურების გავლით, ხელშეკრულების გაფორმებისა და დაინტერესებული მხარის ან მესამე პირის მიერ, სათანადო ფინანსური უზრუნველყოფის შემთხვევაში, დამუშავდება პროექტი და ჩატარდება საჭირო სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები.

პატივისცემით,

გიორგი სვანიშვილი
კომერციული დირექტორი

შემსრულებელი: ლ. გაგნიძე
ტელეფონი: 293 11 11 (21 02)

საქართველო, თბილისი 0119, ვანის ქ. 3
ტელ: +995 (32) 277 99 99
www.telasi.ge

სნ 202052580

Номер: 1004/114/22

Дата: 04/10/2022

შპს ,,იფქლის" დირექტორ

ბ-ნ არისი ბოჭოიძეს

თქვენი 28.09.2022 #0928/611/22 განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ მითითებულ მისამართზე მიწის ნაკვეთს (ს.კ.01.11.12.019.177) კვეთს სს ,,თელასის" კუთვნილი 6-10კვ-ის საკაბელო ელ.გადამცემი ხაზი.

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბერის #366 დადგენილე-ბის ,,ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ (მუხლი 3, პუნქტი ბ) თანახმად საკაბელო ელექტროგადამცემი ხაზებისათვის დაცული უნდა იყოს შემდეგი ნორმები :

ბ.ა) მიწისქვეშა საკაბელო ელექტროგადამცემი ხაზის გასწვრივ მიწის ნაკვეთი, შემოსაზღვრული ვერტიკალური სიბრტყეებით, რომლებიც ხაზის ორივე მხარეს განაპირა კაბელებიდან დაშორებულია შემდეგი მანძილით:

ბ.ა.ა) 1 კვ-ის ზევით - 1 მეტრი ორივე მხრიდან;

ბ.ა.ბ) 1 კვ-მდე - 1 მეტრი ორივე მხრიდან; თუ საკაბელო ელექტროგადამცემი ხაზი გადის დასახლებათა ტროტუარების ქვეშ, მაშინ - 0,6 მეტრი შენობა-ნაგებობის მხარეს და 1 მეტრი ქუჩის სავალი ნაწილის მხარეს;

სს ,,თელასი" არ არის წინააღმდეგი აწარმოოთ მშენებლობა, თუ დაცული იქნება ზემოთ აღნიშნული ნორმები.

სს ,,თელასის“ გენერალური
დირექტორის მ.შ. ა. ბალჩუგოვი

შემს.შრომის დაცვისა და სახ. უსაფრთხოების
განყ. უფროსი მ. ჩიღუნაძე
ტელ. 2 77 99 99 1(7959)

თელასი

საქართველო, თბილისი 0119, ვანის ქ.3
ტელ: +995 (32) 277 99 99
www.telasi.ge

სწ 202052580

ნომერი: 1019/083/22
თარიღი: 19/10/2022

შპს „იფქლის" დირექტორს
ბატონ არისი ბოჭოიძეს

თქვენი მიმდინარე წლის 4 ოქტომბრის #1004/786/22 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ აღნიშნულ მისამართზე მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.11.12.019.177) და მის მიმდებარედ გადის თელასის კუთვნილი კაბელები:

6-10კვ. (მიწისქვეშა): 9018-9652.

0.4კვ. (მიწისქვეშა): 9018 ს.ქ-დან აბონენტამდე.

(წარმოგიდგენთ აღნიშნული ქსელის გამომსახველ სქემატურ ნახაზს, PDF და SHP ფაილების სახით) .

მითითებულ ტერიტორიაზე სამუშაოების წარმოების დაწყებამდე, სს „თელასის“ მხრიდან წარმომადგენლების გამოყოფისთვის, უნდა დაუკავშირდეთ სს „თელასის“ გამანაწილებელი ქსელის სამსახურის უფროსის მოადგილეს ბატონ ვლადიმერ სისაურს (ტელეფონი: 599 539813) და სს „თელასის“ კომუნიკაციების დაზიანების პრევენციის მიზნით, წარმოადგინოთ შეთანხმებული სამუშაო პროექტი, წინააღმდეგ შემთხვევაში სამუშაოების მწარმოებელი სამუშაოების შესასრულებლად არ დაიშვება.

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის #366-ე დადგენილებით დამტკიცებული "ელექტრონული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ" მე-4 მუხლის პირველი პუნქტის "ა"- ქვეპუნქტით, ხაზის (ბოძის) გადატანა ხორციელდება დაინტერესებული პირის ხარჯით. ელ. გადამცემი ხაზის (ბოძის) მფლობელის პირის მიერ დადგენილი ტექნიკური პირობების შესაბამისად, ხოლო სამუშაოების დაწყების თარიღი და დრო უნდა შეთანხმდეს სს"თელასთან".

დამატებით გაცნობებთ, რომ სამუშაოების შესრულება შეიძლება განხორციელდეს სს „თელასთან“ ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ ან შესაბამისი გამოცდილების მქონე გარე ორგანიზაციის მიერ. გარე ორგანიზაციის შერჩევის შემთხვევაში, ორგანიზაციის გამოცდილების და შესაბამისი სამუშაოების წარმოებაზე ლიცენზიის არსებობის შესახებ ინფორმაცია წინასწარ წარმოდგენილი უნდა იქნას სს „თელასში“ შესათანხმებლად, ასევე წარმოდგენილი უნდა იქნას პერსონალის სია ვინც აწარმოებს სამუშაოს შესაბამისი უსაფრთხოების ჯგუფის დამადასტურებელი დოკუმენტებით, წინააღმდეგ შემთხვევაში მათი დაშვება ქსელში ვერ მოხერხდება.

პატივისცემით,

ტექნიკური დირექტორის მ.შ ზვიად ვაშაკიძე

შემსრულებელი:
ვ. სისაური
ტელ:2-77-99-99-1-7881

№ 10299/24-8 "05" 10 2022

შპს „იფქლი“-ს დირექტორს
პატივცემულ არისი ბოჭოიძეს
ქ. თბილისი, ხარაძის 2ა
ტელ: 591108353

მოგესალმებით,

თქვენგან შემოსული წერილის (#8-15593; 28/09/2022წ.) პასუხად გაცნობებთ, რომ ქ. თბილისში, ქერჩის ქ. #1-ში, მიწის ნაკვეთზე ს. კოდით 01.11.12.019.177 გადის სს „სილქნეტის“ მიწისქვეშა კომუნიკაცია, რომელსაც გაწვდით თანდართულ CD დისკზე შეიპ ფაილის ფორმატში. გთხოვთ ჩვენს მიერ მოწოდებული ინფორმაცია გაითვალისწინოთ პროექტში და ისე წარმოადგინოთ სს „სილქნეტში“ შესათანხმებლად.

სს „სილქნეტის“ კომუნიკაციასა და საპროექტო შენობას შორის დაშორება შეადგენს მინიმუმ 1 მეტრს.

პატივისცემით

ტექნიკური განვითარების და დაგეგმარების
დეპარტამენტის უფროსი
ასტამურ აჩბა